

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რეპუბლიკური სახალხო ორგანო
ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

№ 20
(3504)

30

1968 წ.

იანვარი,
სამშაბათი,
შანი 3 კაპ.

გამოცემის
24-ე წელი.

კაპიტილი



თბილისში, სასტუმრო „ლელო“-ში
რისი“ ციხურის დაარსებაში
საზემოდ დაიბურა საერთაშორისო
შაშის მსოფლიო პირველ-
ლობაზე ი. კუპერმან — ა. ან-
დრეიკოს მატჩი. აქ გამოცხადდა,
რომ ორთაბრძოლის დასკვნითი,
XX პარტია, რომელიც გუშინ-
წინ შედგა, ყაბით დამთავრდა
და მატჩის საბოლოო ანგარიშ-
შია 11:9 კუპერმანის სასარგებ-
ლოდ. საზემო ცერემონიაზე
მსოფლიო ჩემპიონი ი. კუპერ-
მანი დაუნის გვირგვინით შეამ-
კეს.

მესტეროსი

ამჟერად კანა მაშკოვა

მესტეროსი, 28 იანვარი. შვეიცის ამ პატარა ქალაქში გუშინ დამთავრდა
ევროპის მე-60 ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. დღეს „როსკლუნდაპალენის“
დარბაზი მრავალრიცხოვანი მაყურებლით აივსო — უდიდესი ინტერესი გამოიწ-
ვია ფიგურისტთა საჩვენებელმა გამოსვლებმა.
შეჯიბრების ბოლო დღეს ევროპის ჩემპიონატის ტიტულს ერთმანეთს ეცილე-
ბოდნენ ქალები. ნებისმიერი ვარჯიში შესანიშნავად შესრულა ჩეხოსლოვაკიის
წარმომადგენელმა პ. მასკოვამ, რომელმაც ერთ-ერთი მსაჯის უმაღლესი შეფასება
— 6 ქულაც კი დაიმსახურა. მასკოვა ძალიან ღელავდა, ვინაიდან ყინულზე მა-
ნამდე გამოსვლა, ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა გ. ზაიფერტმა (გერ)
ბრწყინვალე ოსტატობა გამოავლინა.
მაგრამ მასკოვასთვის ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. სავალდებულო
პროგრამის შემდეგ ჩამორჩენილმა ზაიფერტმა (III ადგილი) მხოლოდ ერთი ად-
გილით გადაინაცვლა წინ და ვერცხლის მედალი მოიხვეჭა, ევროპის ჩემპიონის
წოდება კი მასკოვას ერგო (იგი თავიდანვე ლიდერობდა).
III ადგილი დაიკავა ავსტრიელმა ბ. შუბამ.
გარდა იმპარტეზა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა ე. შჩეკოვამ, რომელიც პირ-
ველად მოხვდა უძლიერესთა ექვსეულში (VI ადგილი). სამაგიეროდ, უხეიროდ
გამოვიდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გ. გრუბოვსკაია, რომელმაც XII ადგილი
დაიკავა.

სურათი: პ. მასკოვა.



დაუნის გვირგვინი — ფრედ მაიერს

ოსლო, 28 იანვარი. „ბიშლეთის“ სტადიონზე და-
მთავრდა ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი ციგურებით
ჩქაროსნულ რბენაში. ბრწყინვალე გამარჯვება მოი-
პოვა ნორვეგიელმა ფრედ ანტონ მაიერმა. მან მრავ-
ალქილბიცი დაისაკუთრა პირველობა (177,318 ქულ-
ა) და მსოფლიო რეკორდი დაამყარა 10-კილომეტ-
რიან დისტანციაზე — 15,20,3.
500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა გ. ციპერმანმა
(გერ) — 41,0. II ადგილზეა ე. მატუსევიჩი —
41,2, III — მ. ტომასენი (ნორვეგია) — 41,3.

ოსლო

5 კილომეტრზე რბენაში ყველაზე კარგი დრო აჩ-
ვენა მაიერმა — 7,41,7. მატუსევიჩი მეოთხე იყო —
7,59,0.
ამ უკანასკნელმა მრავალქილბიცი 177,780 ქულა და-
აგროვა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. III ადგი-
ლი დაიკავა ტომასენმა — 177,968.
სურათები: ფრედ ანტონ მაიერი (მარცხნივ)
და ე. მატუსევიჩი.

შეჯიბრება

◆ დელი, 29 იანვარი. გრუნტიან
კორტებზე ინდოეთის ჩემპიონის
ტიტულს თბილისელმა ჩოგბურთე-
ლმა ა. ივანოვამ ამ ქვეყნის ჩემ-
პიონის წოდება დაუმატა ბალახიან
კორტებზე. ფინალში მან სძლია
თანამემამულე ნ. თუხარელს — 6:2,
6:8.
◆ ბრემენი, 29 იანვარი. გერ-ის
ჩოგბურთელთა დია ჩემპიონატში შე-
რეულ წვეილთა ფინალში საბჭოთა სო-
რტსმენებმა გაითამაშეს: ო. მოროზოვამ
და ვიარ. ეგოროვმა დაამარცხეს გ. ბაქ-
შეევა და ვ. კოროტკოვი — 6:3, 9:7.
ქალებში ყველას აჯობა ჯ. ულიამსმა,

ვაჭებში — არაბეთის გაერთიანებული
რესპუბლიკის ჩემპიონმა ი. ელ შაფიომ.
◆ ლინდონი, 29 იანვარი. სამხრეთ
აფრიკის რესპუბლიკაში მაღალი შედე-
გებით აღინიშნა მოცურავეთა შეჯიბრე-
ბა, რომელიც ადგილობრივი სპორტსმე-
ნი ქალიშვილის, 15 წლის ე. მიუირის
ტრიუმფად იქცა. მან 110 იარღვე გულ-
აღმა ცურვაში მსოფლიოს ასალი რე-
კორდი დაამყარა — 1.06,7 (ეს დრო
საკუთებსა 100-მეტრიანი დისტანციე-
ბისთვისაც). წინა დღით მიუირმა განაა-
ხლა მსოფლიოს რეკორდი 220 იარღვე
(2.24,1), რაც ასევე სჯობს 200 მეტრ-
ზე ე. ტანერის (კანადა) ძველ მიღწე-
ვას.

42 სანტიმეტრით!

ლენინგრადი, 28 იანვარი. ადგი-
ლობრივ მანევში სპარტაკულ მძლე-
ოსანთა საკავშირო შეჯიბრების
დროს კვლავ ისახელა თავი ევრო-
პის ჩემპიონმა, 22 წლის ნ. ჩიუო-
ვამ. იგი სამჯერ გამოვიდა პირთვის
კვრის წრეში და მისი სამივე ცდა
მისხავე ძველ მსოფლიო მიღწევაზე
უკეთესი იყო, 18,28 მეტრი! ასეთია
ამიერიდან ამ ნიჭიერი მძლეოსანი
ქალის, პ. ლესგატის სახელობის
ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუ-
დენტის ნაღველა ჩიუოვას მსოფ-
ლიო მიღწევა დაბურული შენობე-
ბისთვის, რომელიც ერთბაშად 42
სანტიმეტრით აღემატება ძველს.

18 მედალი
ინსბრუკი, 28 იანვარი. აქ, IX
თეთრი თლიშპიადის დედაქალა-
ქში დამთავრდა ჯამთრის უნი-
ვერსიადა. ყველაზე მეტი მედა-
ლი — 15 — დაისაკუთრეს საბ-
ჭოთა სტუდენტებმა. მათ მოი-
ხვეჭეს ოქროს 8, ხოლო ვერცხ-
ლისა და ბრინჯაოს 6-მ მედალი.

საქონი საქონი

● ორილი, 27 იანვარი. მოსკოვის საშხდრო ოლქის ძალოსანთა
პირველობაში საკავშირო რეკორდის ავტორი გახდა მძიმე წონის ათლე-
ტი ნ. მირონენკო. მან 176 კგ აჭიმა.
● ინვლი, 28 იანვარი. ე. კელერმა (გერ) ადგილობრივ მაღალ-
მთიან საციგურაოზე მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა მოსკოველ სპრინ-
ტერს ე. გრიშინს. გერმანელმა მოციგურავემ 500-მეტრიანი დისტანციის
გავლას 38,2 წამი მოაწოდო. ეს შედეგი 0,3 წამით უკეთესია გრიშინის
მსოფლიო რეკორდზე, რომელიც მან 5 წლის წინათ დაამყარა.

ველსინკი

კვლავ კვარცხლბეკის
შეაღდებს საფეხურზე

პელისი, 28 იანვარი. პოლანდის ქალაქ დელფ-
ტის პოლიციის სამმართველოს მოსამსახურემ, 29
წლის სტინ კაიზერმა კვლავ მოიხვეჭა მსოფლიო ჩე-
მპიონის სახელი ქალთა შორის ციგურებით სწრაფ-
რბენაში. მან დააგროვა 195,050 ქულა, გაიმარჯვა
1.500 მეტრზე რბენაში, მეორე იყო 1.000 და 3.000
მეტრზე. II-III ადგილები დაიკავეს მისმა თანამემ-
ამულეებმა ანს სხუტმა (197,017) და კარი გეისენმა
(198,016).

სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლ. ტი-
ტოვამ მოიხვეჭა მეორე ოქროს მედლები 500 (46,2)
და 1.000 მეტრზე (1.34,5) რბენაში. საოცარია,
რომ საბჭოთა მრავალქილბიცი გოგონებთან სპრი-
ზო სამეულში ვერც ერთი ვერ მოხვდა. მათგან საუ-
კეთესო — რიგელი ლასმა კაუნისტე მხოლოდ IV
ადგილზეა. ტიტოვამ VI ადგილი დაიკავა, სკობლკო-
ვამ — VII, ხოლო სტენინამ — IX.

